

რედაქცია

ბანაჟის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის და ახ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: В Тифлисе. В контору редакций газеты „Дროба“, при типографии Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

საღიჯ ნომერი — ერთი შაურის.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

მიიღება ქართულს, რუსულს, სპარსულს, სომხურს, სერბულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით; სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეს ნომერი „დროებისა“ ამ წლის უკანასკნელი ნომერია. გ. დენიკი დღეების გამო, მომავალი 1877 წლის პირველი ნომერი მხოლოდ 2-ს იანვარს, კვირას, გამოვა. ამას გარდა მომავალი წლიდან გაზეთში ზოგიერთი ცვლილება უნდა მოხდეს და მასაც ცოტაოდენ დროს მოითხოვს.

ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდან „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დახლოებული მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი: პეტე. წყნეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენადაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გახდამთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხელის-მოწერა

მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ახ. სტამბაში (ბანაჟის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნითა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: В Тифлисе, в Типографию Меликова.

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — სე. მესხთან (სილაზე), ფოთში — თ. ანტ. ლ. ზ. ნ. კაშიძესთან და მლ. ბაბალოვთან, ახალ სენაქს — ნიკ. დგობუაძესთან, ზუგდიდს — თ. ტარ. ალექ. დიდიანთან, ოზურგეთს — ანტ. ჯაყელთან, უშირი — მ. დავ. ლაშაშვიძესთან, გორს — ალალა თეთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

გაზეთის ფასი — გაგზავნით და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	—
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა	2	და 50
ერთის თვისა	1	—

ამვე საჭიროთი ვრაცთ გამოვაცხადეთ, რომ გაზეთი ნისი-ათ არავის არ გააგზავნება გარდა იმ პირებისა. რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იპისკავენ.

მთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მოწერალებს, რომ თავიანთი მოთხოვნითა დროზე გამოგზავნონ. რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერათა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ის რედაქციას. გამოცემული სტ. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.

საქართველო

1876 წელიწადი

როგორც ყოველ საუკუნესა და ნახევარ-საუკუნეს, ისე ყოველ წელიწადსაც თავის განსაკუთრებული ხასიათი და მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში.

საუკუნოებისა და ნახევარ-საუკუნოების ხასიათსა და მნიშვნელობას იკვლევინ და გვაცნობენ დიდი მწერლები, ისტორიკოსები; წლებისა და დღეების ხასიათის ჩვენება და განმარტება კი ჟურნალისტების საქმეა; ჟურნალ-გაზეთების საქმეა, უჩვენონ საზოგადოებას ყოველ-დღიურ და ყოველ-წლიურ შესანიშნავ მოვლენათა ხასიათი და ინტერესები.

ამ წესს მტკიცეთ იცვავს ახლანდელი ჟურნალისტიკა: ისე ჟურნალი და გაზეთი არ გამოვა წლის დასასრულს, რომ გასულ წლის შესანიშნავ მოვლენებზე და საზოგადო ხასიათზე რამე არა სთქვას, ამ გასული წლის ანგარიში არ წარუდგინოს თავის მკითხველ საზოგადოებას.

ჩვენც ამ ერთხელვე მიღებულს წესს ემორჩილებით და ამის გამო დღესაც ორიოდ სიტყვას ვიტყვით იმაზე — თუ გარსული წელიწადი რითი იყო კაცობრიობის ცხოვრებაში შესანიშნავი და საყურადღებო.

პირველი, საგანი, რომელზედაც უმეტესად უნდა მიექცეს ჩვენი და ყველასი ყურადღება, არის ის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც შარშან ატყდა და წელს აქ გაძლიერდა ოსმალის ქვეშევრდომ პატარა სლავიურ ხალხებში.

მრავალი ცხოვრების ტალღა ატრიალებს დასავლეთის მეროპას მთელი ამ უკანასკნელი საუკუნოების განმავლობაში.

იქ ზოგიერთი ძლიერი ხელმწიფეები და სახელმწიფოები ცდილობენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ რაც იმათ მოსამზღვრე, და თუნდაც მოშორებით, სუსტი და უღონო, წერილი ხალხებია, ხელში ჩაიგდონ, დაიმორჩილონ, თავიანთ დიდ სახელმწიფოებს შეუერთონ....

წინააღმდეგ ამისა, პატარა ხალხნი, მაგალითად ბერძნები და სლავიანები თავიანთ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას მეცადინეობენ, ამ დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ქადაგებენ და სისხლსა ღვრიან.

ეს პატარა ხალხები ამბობენ, და ამათში ბევრი მეცნიერიც ეთანხმება იმათ, რომ იმათ უფრო ადვილად შეუძლიანთ წარმატების გზაზე წინ წასვლა და ცხოვრების

გაუმჯობესება, რომ ყოველ ახალ ცვლილების მოხდენა პატარა ხალხში და საზოგადოებაში უფრო მოსახერხებელია, ვინც დიდშია; ისინი ფიქრობენ, რომ ყოველს დიდს სახელმწიფოში პიროვნების, სახელმწიფოს უფლება უფრო ძლიერია; უფრო შეუხებელი; უფრო ძნელად დასაყენებელი სწორს, თავისუფლების გზაზე, ვინც პატარა სახელმწიფოში, პატარა ხალხშია.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, იმათ თვით-არსებობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება აქვს და თავის-და-უნებურად, მით უმეტეს, ძალდატანებით, როგორც ერთმა კაცმა მეორე არ უნდა დაიმონაგოს, ისე ერთმა ხალხმაც მეორე, რაც უნდა ძლიერი და განათლებული იყოს ერთი და რაც უნდა სუსტი და უმცარი იყოს მეორე არ უნდა დასაჩაგროს.

აი, ამგვარი ჰაზრები ერთობ გაერცეოდა ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებით მეროპის ხალხებში, და იმათ სისრულეში მოსაყვანად რამდენიმე რევოლუცია, რამდენიმე მოძრაობა მომხდარა, და, უეჭველია, შემდეგაც ბევრი მოხდება, სანამ ხალხთა შორის უკეთესი, უგონიერესი წესები არ დაარსდება.

სლავიანების პატარა ხალხებიც ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი ლტოლვილებად აღელვა. მთელი წლებადილი წელიწადი იმათ ოსმალის მმართველობასთან ბრძოლაში გაატარეს; ბევრი სისხლი დაიღვრა, ბევრი ქალაქები და სოფლები აოხრდა და იქნება უარესად მოვესწროთ იმათ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის.

საქმე დღესაც არ გათავებულა. მომავალმა 1877 წელმა, ცუდით იქნება თუ კარგათ, დროებით ანსამუდამოთ, უნდა გადაწყვიტოს ეს ესრედ-წოდებული „აღმოსავლეთის კითხვა“, რომელზედაც ასე გადამხუთდაკავშირებული არიან ოსმალთა და იმის სლავიანები, ინგლისი, რუსეთი და ავსტრო-მუნგარია....

დანარჩენ მეროპის სახელმწიფოებისათვის წლებადილი წლის განმავლობაში კაცს ყურადღება არ მიუქცევია, ან თუ აქცევდნენ, იმდენად, რა:დენადაც ეს სახელმწიფოები „აღმოსავლეთის კითხვასთან“ იყვნენ გადამხუთნი. მართალი რომ ესთქვით, დანარჩენ მეროპაში მაგდენი ყურადღების ღირსი მოვლენა არც კი რამ მომხდარა....

ჩვენში? ჩვენში რა მოხდა ამ წელს ყურადღების ღირსი და მატანევი ჩასაწყობი მოვლენა?

მომავალი 1877 წლის ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე“ მიიღება მელიქიშვილის და ახ. სტამბაში (ბანაჟის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის თავიანთი მოთხოვნითა და ფული ამ ახალის ადრესით უნდა გამოგზავნონ: В Тифлисе, в контору редакций газеты „Дроба“, при типографии Меликова и К-и.

„დროების“ რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს და ხელის-მოწერალებს, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და ახალი, მომავალი წლის ხელის-მოწერა იწყება, ამის გამო წლებადილი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.



თითქმის სრულებით არაფერი.

ნელ-ნელა, აუღმყოფებელად, წყნარად მიდის ჩვენი ცხოვრება. წინ ვიწვეთ უქვეყლია, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა დინჯნი, რა ღუნე არის ეს წინ-წიწეა და წარმატება! თუ არ კარგი დამაკვირვებელი თვალი და გამჭრიახე გონება ვერც შენიშნავს — მიმდინარეობს ეს ჩვენი საზოგადო ცხოვრება, თუ დამალ ტბასავით ერთს ალავას არის გაჩერებული.

მინუტებში თვე იმ იმედით, რომ მუდამ ესეთი არ იქნება ჩვენი ცხოვრება, რომ ჩვენს საზოგადოებას გაღვიძება გონება, გამოიფხიზლებს ისა, სხვებს შეხედავს და მერე თავის თავზეც დაიხედავს. მოვა დრო, როცა ჩვენი ვერცხვობით ჩვენს ახლანდელ არა-არაობას, მკედარ სიცოცხლეს, თუ შეიძლება ასე ესთქვათ, და მოვიწოდებთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლას...

ამის იმედი რომ არა გექონდეს, ეს რომ არ გვანუგუშებდეს, ამ ქვეყანაზე ჩვენი სიცოცხლე ხო სიცოცხლეს არ ემსგავსებოდეს!...

ს. მ.

დღიური

დღი მოძრაობა ჯარისა ჩვენს ძალაქში. ბუშინაწინ, სხვათა შორის ჩაიარეს ღონის ყაზხებმა; სულ ერთი ბატალიონი თუ იქნებოდა. როგორც ამბობენ, პოლიკანდროპოლის საკენ მიდიოდნენ. მარჯვე შეხერხულობა კი ჰქონდათ და ძალაქის ქუჩებში რომ ჩაიარეს, ცხენზე ყოჩაღათ ისხდნენ.

აქას წინათ დიდ პოლიციასთან 30 კაც-მდინ ტუსაღები იყვნენ დაყენებული, რომელთაც ერთი როტა ჯარი გარს ერტყა. ხალხი, რომელიც იქ ბლომად იყო მოგროვილი, ამბობდა, რომ ესენი ჩერქეზები არიანო, მსალოფში გაქცევა უნდოდათ და ჩვენ ჯარებს სოხუმში დაუჭერიანო. მაგრამ ტუსაღები ისეთი ყვეთლები და გამხდრები იყვნენ, რომ უქვეყლია, ისინი დიდი ხანია სატუსაღოში არიან და სუფთა ჰაერი და გებრიელი საქმელი არ უგემებიათ...

ქახეთიდან გეწერენ, რომ სიღნაღის მახლობლათ სოფ. ანაგთან ერთი დაღმართი არისო, რომელზედაც წელიწადი არ გავა ისე, რომ რაიმე უბედურება არ მოხდესო. წელს ამ ცოტა ხნში ორი უბედური შემთხვევა მომხდარა: ამ ორი კვირის წინათ თანაშემწე უ. მ. ხ. ანდრონიკაშვილი ზონავალა ამ გზაზე ტრაიკით, რომელიც გადაბრუნებულა, ზედ მჯდომნი გადაცივებულან და ანდრონიკაშვილის, როგორც ამბობენ, ფეხი მოუტეხა და ახლც ავთამყოფი სწევსო.

მეორე შემთხვევა უარესად გათავებულია: ამთვის 17-ს ამავე დაღმართზე ტრაიკა გადაბრუნებულა და

ზედ მჯდომი თ. ზაქარია რევაზის ძე მაჩნაძე გადავარდნილა და ისეთ ნაირად დამტყრელა, რომ მეორე თუ მესამე დღეს მომკვდარა.

ამ შემთხვევების შემდეგ მაინც უნდა მიაქციოს ადგილობრვმა ადმინისტრაციამ ყურადღება ამ უბედურ აღმართსა.

იქიდანვე გიტყობინებენ, რომ ს. გარეჯოს სოფლის საზოგადოებას ამთვის 18-ს კრება ჰქონდათ და სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების (общество потребителей) დაარებაზე ჰქონდათ მოლაპარაკება. მაგრამ ამ დღეს საქმაო წევრი არ მოსულან და ამის გამო ამ საქმეზე მოლაპარაკება მომავალი წლის იანვრის 30-ს იქნება კიდევო. ეს მომხმარებელი საზოგადოება იმავე სოფლის მამსესხებელ-შემნახელ ამხანაგობის თაოსნობით იმართება თურმე.

ეს უკანასკნელი ერთი თვე არისო, იწერებინან ქუთაისიდან, რომ თითქმის მუდამ დღე წვიმა მოდისო. იეთი ტალახები დგას ქუჩებში, რომ მუხლამდინ იფლებო კაციო.

იქნება ამ ადგომას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომელსაც მეორე ჩვენი ქუთაისელი კორრესპონდენტი გეწერს, რომ საღამო არ გავა, ხან ერთსა და ხან მეორე სახლში გცხარებელი ლოტოს დალატარვის თამაშიარ ჰქონდეს თქვენს ქალებსო!

როგორც ამ ქუჩების გასუფთავებას, აგრეთვე ლატარვის თამაშის მოსაზრებას ახლი ჩვენი პოლიციამდისტრისაგან უფ. მამრიელ ბაქრაძისაგან მოველით ჩვენაო, ასე ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი...

ჩვენ მიერდეთ გაზეთში დასაბუქდათ შეტყუი წერილი:

„შუალო რედაქტორო! „დროშის“ 137 №-ში არის დაბეჭდილი კორრესპონდენტი ბორიდან შესახებ ბორის ადმინისტრაციის მაქმედებისა სოფლებში და სხვათა შორის, მერეთის სასოფლო მოხელეების უსამართლო მოპყრობისა და სოფლის ყვეფისა. ძარბ-სპონდენციას აწერს მერე თელი.

„რათგან მეც მერეთელი ვარ, ამის გამო მე მწამებენ მაგ კორრესპონდენტის დაწერასა. ამის გამო ვაღად ვრაც განვაცხადო, რომ, როდესაც ვგ საქმეები მანძარა, მე მიიღის-ში ფუჟ და არც ის კორრესპონდენტი მკუთვნის.“

ანტონ შურცელაძე

„დროშის“ კორრესპონდენცია

გორის უბედის ს. ახალქალაქიდან როდესაც საქართველოში მართებლობამ დაპირა დაარსება სასოფლო მმართველობის რეფორმებისა, ყოველ ქართველს გეცხაროდა. ჩვენი სიხარული განიმართებოდა იმ მიზეზებით, რომ ეამბობდით:

„ამაზედ უკეთესი რეფორმები რა-ღა იქნება, რომ ყოველ სოფელში იქნებოდა აღმორჩეულნი სანდო პირნი, რომელთაც საზოგადოება მიანდობს სოფლის საქმეებს და აღარც მომრიგებელი სასამართლო, აღარც

უფედის უზრავლენიე ჩვენთვის საქრონი არ იქნებოდა. თუ გავიჩნდებოდა რომელიმე საჩივარი, მაშინვე მიემართათ ჩვენის სოფლის სასამართლოს და ის დაგვიკმაყოფილებს ჩვენს გაჭირვებას; გვეკეთებინან გზები, უზდებენ ყურს ყოველ სოფლის საზოგადო საქროებასა და სხვ. და სხვ.“

ჩვენ გვეგონა, რომ პირველ მოთხოვნილებადი ყველაფერს მიაცედა ყურადღებას სოფლის სასამართლო.

ეს ჩვენი იმედი არ იყო უსაფუძვლო. რომელს პირს შეუძლიან მკითხოს ჩვენი საზოგადო ინტერესი ჩვენს სოფლის სასამართლოებზედ უკეთესათ, თუ კი ეს უკანასკნელი თავის მოვალეობას ასრულებს ისრე, როგორც მოითხოვს წესდება სოფლების სასამართლოსი? არა კცს. ამისთვის რომ სოფლის სასამართლოს შეადგინენ ჩვენგანვე აღმორჩეულნი პირნი, ჩვენი მეზობლები, რომელთაც კარგათ იციან, რომელი კაცი იმის სოფლისა არის შეძლებული, რომელი არის ზნეობით წამხდარი, რომელი არის მაინცელი საზოგადოებისათვის.

თუ სოფლის სასამართლომ ეს იცის, ყოველთვის შეუძლიან ასრულოს თავისი მოვალეობა ისრე, რომ საზოგადოებას არაფერი ენება არ მიეცე — და თავისის სინიღსანის მოქცევით სოფელს მისცეს წარმატება.

ეს იმედები, ეს მიზნები გვახიარულებდნენ ჩვენ, ქართველებს, როდესაც გვეგონათ დაარსება სასოფლო მმართველობისა. ამ რეფორმებით ენუგეზობდით და, ჩვენის სიხარულის მაგიერ, რა დაგვიხედა წნე! ჩვენი იმედნი განიფანტნენ... არაოდეს სოფლის საქროებანი არა ყოფილან ისრე ყურ მაგდებულნი, ისრე მიეწყებულნი, როგორც ხლა.

სინიღსიანათ აღ რულებენ სოფლის მმართველნი პირნი თავის მოვალეობას, თუ არა? უგდებენ ყურს საზოგადო გაჭირვებას?

სხვა უფედებისა არ ეცი, გორის უფედში კი იშვიათათ არის იმისთანა სოფელი, რომ ხალხი მადრიელი იყეს თავის სოფლის სასამართლო სი. რომელს სოფელში იპოვით წიგნებს, სადაც ჩაიწერებინან სასამართლოში შესული საჩივრები და მათი განჩინებანი? მერც ერთს სოფელში. ამის მიზეზთ უმაღლესს მთავრობას არასფერი საშუალება არა აქვს, რომ შეამოწმოს, კანონიერათ და სინიღსიანათ იქცივიან სოფლის სასამართლონი თუ არა.

ღმერთმა იცის, რამდენი მართალი კაცი ამ სასამართლოებში გამტყუნებულა! შოველი მოქმედება მათი უმაღლესს მთავრობისათვის დამალულია. ბევრჯელ გაღუწვევითათ სოფლის სასამართლოებს იმისთანა ხანნი, რომლის განხილვა იმათ უფლებებში სრულებით არ შედი; ბევრჯელ დაუძალავთ ამათ ქურდობა; ბევრჯელ დაუგდიათ უყურადღებოთ ღარიბი კაცების საჩივრები და მდი-

დრებისათვის კი უსამართლო სამართალიც მიუციათ.

ჩემს სიტყვების დასამტკიცებლათ რამდენი მაგალითი გინდათ მოგათვალოთ? ათი, ოცი, თუ მეტი? მოგახსენებთ ჯერ ამას, რომ არცერთს ზამთარს არ გაუფლია ჩვენს სოფელში ისრე მშვიდობიანათ, რომ ან მარანი ღვინის ქვევრებით საესე არ გაუტეხნათ, ან საქათმეებიდან და საღორეებიდან ქათმები და ღორები არ გამოეყანათ, ან ცხენი და ხარი არ მოეპარათ. ამ გვარი მშვიდობიანობა სოფლისა უმაღლესს მმართველობას, ეგონებ, არ მოხსენებია სოფლის მამასახლისისაგან, თუ თონ დაკარგულის პატრონს არ უჩავლია.

ამ ზამთარს ერთს ღარიბს თავად-შვილს, რომელიც ყოველ დღე თხოვნიტ ჰქვებავს თავის ცოლსა და შვილებს, გაუტეხეს საქათმე და რაც ინდოურები და ქათმები ჰყავდა, სულ მოჰპარეს. ეს თავად-შვილი ისე ღარიბი არის, რომ რა დღესაც ინდოურს ანუ ქათმს სოფელში არ გჰყადის, მისი სახლობა პატარა ძუძუთა ბავშვებით შიმშილით უნდა დაიხრცნენ.

მეორე კაცს ერთმა მთიულმა დაკარგულ ღუქანზედ ღამე კოიტე გაუტეხა, შევედა ღუქანში, გმოალაგა, რასაც მოაწრო და იმ დროს კდც დაიჭრა ღუქანის პტრონა. ამ გვარს დანაშაულობას მამს ხლით კანონით ვერ გარჩიეს, მაგრამ თავის სრგებლობას კაცი ყველგან ხედავს: მამას ხლისმა გ ნიხილა ეს საქმე, ერთა თუმანი, როგორც გვეგვ, თითონ ჩაიღო ჯაბ ში და ერთი თუმანიც დქნის პატრონისათვის გადახდევინა მთულსა. დანაშავე პირიც სიხარულით ძღვევენ ამ შემთხვევაში ამ გვარს გარდასახადს, ოღონდ მომრიგებელ სასამართლოში ნუ წაყენენ.

მრი, სამი კაცი ერთათ დადიან საქურდოთ; თან დააქეთ ტყეები, რომ ქვევრიდამ ამოღებულნი ღვინო მარდათ გადაახან და წაიღონ საჩქაროთ; თან დააქეთ ღანები, ინდოურების და ქათმების ადგილობრივე დასაკვლელათ; თან დააქეთ ტომრები, რომ ჩყარონ შიგ დახოცილი მოპარული ინდოურები. ამ რიგათ, მომზადებულნი საქრო ნიეთეულბით, რამდენიმე პირნი ერთათ დადიან და იკლებენ.

სასოფლო მმართველობის მოვალეობა ამ შემთხვევაში არის ყარაულების დაყენება.

ბევრჯელ უზოვნიათ დანაშავე პირნი, მაგრამ ბევრჯელვე დაუფრავთ და იქვი არ არის, რომ, თუ ერთხელ დაიმალება დანაშაულობა კაცისა, მეორეთ უარესს საქმეს უნდა მოველოდეთ.

მრთს მაგალითს კიდევ მოგახსენებთ. მრთს კაცს მოუხტნენ ქურდები, ზაფხულში იყო, და გადავიდნენ ბაკში, სადაც ცხენები ება; როგორც რომ ახანა ავშარა ცხენისა და გამოყენა დაპირა, პატრონმა გაუგო, დაიჭრა ქურდი, მაგრამ ველარ დაიმგრა და ხელიდან გაუსხო-

ტა; ამ ბრძოლაში ქურდსა ქუდი იქ
დარჩა. ასე ეგონა ცხენის პატრონს,
რომ ეს არის გადაერჩი და ჩემთან
ველარ გაბედვენ მოსვლასაო. მაგრამ
ერთი კვირა აღარ გამოსულა, მაინც
მოჰპარეს ცხენი. ქუდი მამასახლისს
წარუდგინეს და გამოუცხადეს, რომ
ყარაული დაეყენებინა, მაგრამ ბერს
ლამეს გაუფლია, ყარაული არსად გვი-
ნახავს, კიდევაც ბევრი ღამე გაივლის,
ყერა ენახეთ. მოთხელ ამ ჩვენმა
შეწუხებამ, უყბის ნ. ჩილიკაძემ
მიადწია, რომელმაც უბრძანა მამასახ-
ლისს ყარაულების დაყენება, მაგრამ
ამისი ბრძანება დღე საც კარიელ ბრძა-
ნებათ არის დარჩენილი.

ზუგებისა რაღა სათქმელია. მრ-
ლობებში ისეთი ტალახები დგას, რომ
კაცს ცხენით გაუჭირდება გავლა-
მსეც უნდა იცოდეთ, რომ ერთი ორ-
ლობის მგტი სოფელში შემოსავლე-
ლი არ არის და ისიც გაუზეულელი
ტალახით საესე.

შოსეს გზა, რკინის გზის სტანციი-
დან ბრაკალიდან, პირველ დროებში
კარგი იყო, მაგრამ შემოდგომა დღე-
და და გზაზე სახე შეიცვალა. რაც
ბოგარები იყო, სულ მოშალეს. მან
მოშალა, არავინ იცის; ეს კი ვიცი,
რომ სარწყავი წყლის გაგდების დროს
ქრნახულს მოსარწყავათ წყალი თა-
ვისუფლათ ბოგირებს ქვეშ ვერ გა-
დიოდა, და ამისთვის მოწყობა
მოშალეს. საკითხი ეს არის, რომ
ანუ რათ გაკეთეს იმისთანა ბოგი-
რი, რომ სარწყავი წყალი თავისუფ-
ლათ ვერ გადიოდა და ანუ თუ მო-
შალეს, რატომ აღარ გააკეთებინეს?
თუმცა იმ შოსეს გზას და ყარეს რი-
ყის ქვე, მაგრამ ზოგაერთად დგოდას,
სადაც ჭაობი აღდგალია, ისე ცოტა
დაყრის, რომ სრულყოფით არ იტყობა
ქვეების დაყრა და ზოგაერთად დგოდას
ისე ეფროთ არის დაყრილი, რომ
თვლებმა სიარულის გამო ქვეები აქთ-
იქით გადფრტეს და შუაში ისეც
ცარიელი მიწა გამოჩნდა.

ამ გჭარვებაში ვარს წლითი წლამ-
დინ. ჩვენი სოფლის სას მართლოს
პარნი ისე უყურობენ თავის თანამ-
დებობას, როგორც ჯბსთვის სა-
სარგებლო აღვიღოს და არა ისე, რო-
გორც ხალხისთვის სასარგებლო.
იმათის აზრით, სოფლის საზოგადოე-
ბა არის იმათთვის და არა ისინი სა-
ზოგადოებისათვის. ბევრჯერ ორი-
სამი კერა გაივლის ზ ფხულში, რუ-
ხედ წყალი სრულად მოწყვეტილია,
ამისთვის რომ, თუ ერთხელ წყალი
დახედა, გამკთებელი და გამოგდებ-
ი წყალისა აღარავინა სჩანს; ამის-
გამო თავის დროზედ ენახები და
ქრნახული არ იწყებება და წისქი-
ლებიც აღარ მუშაობენ, მაშინ რა-
დესაც ყოველი ეს ს განი არის შე-
სახები სოფლის გამგებლებისა.

როგორი მანებელი შედეგი უნ-
და ჰქონდეს ამგვარ სოფლის სასა-
მართლოს განკარგულებას, თქვენ
თითონ განსაჯეთ.

„ზუგინ მსმალოს უცხო ქვეყნის
საქმეთა მინისტრმა სეფეტ ფაშამ წა-
რუდგინა ქონჭერენციას თავის მმა-
რთებლობის პროექტი, რომელშიაც
არც ბოლგარიის ჯარებით დაჭრა-
ზედ არის სიტყვა მოხსენებული,
არც მეროპის კომისიის, რომელ-
მაც კური უნდა უგდოს მსმალოს
რეფორმების რიგთანათ სსრულებში
მოყვანას და არც რისამე დათმობაზე
სერბიისა და ჩერნოგორიისათვის, ამ
პროექტის წარდგენის შემდეგ მერო-
პის წარმომადგენელთა ჰკოხეს სეფ-
ეტ ფაშას: უარს არა ჰყოფს მსმა-
ლეთი ამ პროექტის არცერთს მუხლ-
საო და არ დათანხმდება, რომ ჩვენი
პროექტი მიიღოს? სეფეტ ფაშამ უ-
პაუხა ამას, რომ ის შეკრებს მს-
მალოს მინისტრებს და, რასაც იმათი
ჩივი გადწყვეტს, შეგატყობინებთო.
რუსის ელჩი ღენერალი იგნატიევი
ამბობს, რომ ამ მსმალოს პროექტ-
ზე ლაპარაკი არა ღირს, რადგან
ამ პირობებზე დათანხმება რუსეთს
არას გზით არ შეუძლიანო: თუ მს-
მალს არ დათანხმდა მეროპის წარ-
მომადგენლებისაგან წარდგენილ პრო-
ექტზე მაშინ, ს ფიქრებელია, რომ ეს
წარმომადგენელი ყველანი გამოე-
ლენ სტამბოლიდან.

მსმალეთის კონსტიტუცია

ჩვენმა მკთხევლებმა იციან, რომ
მსმალოს მმართველობამ სწორეთ
იმ დღეს და იმ საათს გამოუცხადა
ახალი კონსტიტუცია თავის ქვეშე-
ვრდომებ, რა დღეაც სტამბოლის
კონჭერენცია გაიხსნა. — მა იყო 11
(23) დეკემბრს, ორს საათზე ნაშუ-
აღდეს. ბევრ მოგვყავს ეს შესანი-
შაივი მსმალოს კონსტიტუცია:

- 1) მსმალოს იმპერიის განუყოფ-
ელია.
- 2) სულთანი, როგორც უმთავრე-
სი ხალხი და ხელმწიფე მსმალოს
სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომე-
ბისა, იმავე უფლებებით სარგებლობს,
რა უფლებებითაც დასავლეთი ე-
როპის კონსტიტუციური სახელმწი-
ფოების ხელმწიფენი.
- 3) სახელმწიფოს ყველა ქვეშევრ-
დომნი განუჩივლად ოტტომანე-
ბად იწოდებიან; მათი პირადი თავი-
სუფლება ხელუხლები და კანონით
დაცულია.
- 4) ისლამი სახელმწიფოს სარწყუ-
ნობას შეადგენს, მაგრამ დანარჩენ
ქვეშევრდომებთ ყოველ გვარი სარ-
წყუნობის წესის აღრულება დაცუ-
ლი და ნება დართულია და სასული-
ერო საზოგადოების სარწყუნობითი
პრივილეგიებიც (უპირატესობანიც)
თავის ძალაში რჩებიან.
- 5) კონსტიტუციაში არ არის იმი-
სთანა დადებული, რომელიც სა-
ხელმწიფოს დწესებაებს თეოკრატი-
ულს (სარწყუნობითს) ხასიათს აძლე-
ვენ.
- 6) ბეჭდვის თავისუფლება; ურთი-
ერთ დამხმარებელი საზოგადოების
შედგენის უფლება; ორთავე პალა-
ტაში თხოვნის შეტანის უფლება;
სწელების თვისუფლება; ყველა ქვე-
შევრდომების თანასწორობა კანონის
წინ; ერთგვარი უფლებები და ვალ-
დებულებანი მსმალსა და მისი

ხელმწიფოს სხვა და სხვა დაწესება-
ებში მიღება ყველასი, განუჩივლათ
იმისა, თუ ვინ რა სარწყუნობას აია-
რებს. მართლმად განაწილება გარდა-
სახდისა; საკუთრება ხელუხლებე-
ლია, აგრეთვე სადგომი შეუცლილბე-
ლია; არავის არ ეკრძალება განსაძარ-
თლებული იქნეს იმ მსაჯულისაგან,
რომლის სამი ჯავროსაც ის ეკუთვნის.

7) მინისტრების რჩევა არჩევი სა-
ქმეებს უმთავრესი მკვირის თავს-
მჯდომარეობით.

8) ყოველი მინისტრი მხოლოდ
თავის უწყების საქმეების პასუხისმგე-
ბელია.

9) დეპუტატების პალატის შეუ-
ძლიან ითხოვოს, რომ მინისტრი
სამართალში მიიქცეს. ამათ გასასაძარ-
თლებლათ უმ დღესი სამი ჯავრო
იკრიბება.

10) სულთანი დაითხოვს მინისტ-
რებს ან სრულიად დაშლის პალა-
ტას, დეპუტატების პალატის გარდა-
წყვეტილებით.

11) მინისტრებს შეუძლიანთ ორი-
ვე პალატის სხდომებზე დაესწონ
და მსჯელობაშიაც მიიღონ მონაწი-
ლეობა; პალატის წევრებს შეუძლი-
ანთ ამათ სხვა და სხვა კითხვებით
მამართონ.

12) სახელმწიფოს მოსამსახურენი
(ჩინოვნიკები), რომელნიც კანონში
მოხსენებული პირობებით არიან და-
ნიშნულნი, არ შეიძლება გადაყენე-
ბულ იქნენ სამსახურიდან, სანამ ამი-
სთვის კანონიერი მიზეზი არ უპო-
ვნიანთ.

13) მოსამსახურეები თავიანთ მო-
ქმედებაში მაშინაც კი აგებენ პასუხს,
როდესაც ისინი თავიანთი უფროსი-
საგან იმისთანა ბრძანებას ასრულებ-
ენ, რომელიც კანონის წინააღმდე-
გია.

14) მსმალების საზოგადო კრება
შესდგება ორის პალატად: სენატ-
სა და დეპუტატების პალატისაგან,
რომელნიც ყოველი წლის პირველს
ნოემბერს იკრიბებიან. სესიის ვადა
ოთხი თვეა.

15) ყოველი სესიის პირველი
კრება გაიხსნება სულთანის ეპისტო-
ლით.

16) მრთავე პალატის წევრები
ყოველ კოხვის გარდაწყვეტის დროს
თავისუფალნი არიან, როგორც უნ-
დათ ისე მისცენ ხმა და გამოთქვან
თავიანთი ჰზრი.

17) ძალდატანებითი ვეჭილობა
აღკრძალულია.

18) ძანონების წარდგენა ეკუთვ-
ნის პირველად მინისტრების კრებას
და შემდეგ წინადადებათ პალატას.

19) ძანონები განსაჯელთ წა-
რედგინება ჯერ დეპუტატების პალა-
ტას, შემდეგ სენატს და პოლოს,
სულთანი ამტკიცებს მათ.

20) სენატის წევრებს წარჩინებუ-
ლი პირებისაგან ნიშნავს სულთანი.

21) სენატი იმ ძანონებს უყრის
კენჭს, რომელნიც დეპუტატების პა-
ლატისაგან მიღებულნი არიან და
უბრუნებს პალატას ან სრულებით
უარს ჰყოფს მათს მ დებაზე იმ შემ-
თხვევაში, თუ კი ისინი ძანონსტ-ტუ-

22) ყოველ ასთ-ათას მცხოვრებ-
ლებიდან ერთი დეპუტატი უნდა
ამოირჩეს.

23) პიორჩეები იდუმალის ხმის
მიცემით წარმოიგენ.

24) მრთა და იმავე დროს დე-
პუტატს არ შეუძლიან სახელმწიფოს
სამსახურშიაც ირიცხებოდეს და პა-
ლატის წევრათაც.

25) დეპუტატების საზოგადო ამო-
რჩევეები ყოველი თხის წლის შემ-
დეგ ხდება: დეპუტატები შეიძლება
ხელახლავ ამოირჩეულნი იქნენ. პა-
ლატის დაშლის შემდეგ ექვსი თვის
განმავლობაში ახალი დეპუტატების
ამოირჩევა უნდა მოხდეს.

26) პალატის სხდომები საზოგა-
დოებისათვის არ არის დახურული.

27) სესიის დროს დეპუტატის
დატუსალება ან სამართალში მიცემა
პალატისაგან ნება-დაუფრთველათ არ
შეიძლება.

28) პალატები კანონის მუხლებს
ცალ-ცალკე უყრიან კენჭს და ბიუ-
ქტს კი ცალკე თავებდა.

29) მსაჯულები არ გამოიცვლე-
ბიან. სამსჯავროებში ყველას შეუძ-
ლიან შესვლა. დამცველების (ადვო-
კატების) სიტყვის თავისუფლება; სამს-
ჯავროს გარდაწყვეტლებანი შეიძ-
ლება გამოცხადებულნი იქმნენ სა-
ქმეით. მართლ-მსაჯულების აღ-
სრულების დროს შეუხებლობა; სამ-
საჯულოს გამგეობის წრე ნამდვილათ
განსაზღვრული იქნება; არაჩეველებ-
რივი მსაჯულები და სამსჯავრო
კომისიისები აღკრძალულნი არიან;
დაწესდება პროკურორის ზედამხედვე-
ლობა.

30) უმთავრესი სამსჯავრო, მო-
წოდებული მინისტრების, კასაციუ-
რი სამსჯავროს წევრებთა ანუკირთ
განსაძართლებლათ, რომელთაც ბრა-
ლი ედებათ მისი უდიდებულესობის
შეურაცხყოფაში ან სახელმწიფოს და-
ლატში, შესდგება უმაღლესი სამს-
ჯავროს და აღმინისტრატული და-
წესბაების წევრებისაგან.

31) პრა გვარი გარდასახალი არ
შეიძლება დაწესდეს ან გარდახდეს,
თუ არ კანონის ძალით.

32) ბიუჯეტის შესახებ კანონს
ყოველ სესიის დაწყებისას ეყრება
კენჭი და მხოლოდ ერთი წლის გან-
მავლობაში ექნება ძალა.

33) საბოლოოთ დამტკიცება წას-
რული წლის ბიუჯეტის აღსრულება-
ში მოყვანის წარედგინება როგორც
კანონი, დეპუტატების პალატას.

34) ზედამხედველ (კონტროლი)
პალატას ყოველ წილს შეაქვს დე-
პუტატების პალატაში მოხსენება სა-
ფინანსო ანგარიშის შესახებ და ყოველ
სამითვის განმავლობაში წარუდგენს
სულთანს სახელმწიფო ფინანსის
მდგომარეობაზე დასკვნას.

35) ზედამხედველი პალატის წევ-
რები მუდმივი არიან; მათი სამსახუ-
რიდამ გადაყენება შეუძლია მხოლოდ
დეპუტატების პალატას.

36) ადგილობრივი მმართველობა
დაფუძნებულია სრულსა და ფართოს
ადგილობრივისავე სათუდოობაში.

უცხო ქვეყნები

სტამბოლის კონფერენცია. თე-
ლისში მოვიდა პარიკადამ 21 დე-
კემბერს გამოგზავნილი დეპუტატი, რომ-
ელიმ წამოაყენა შემოღების

რჩევები განსამართლებენ და ზედამხედველობენ ადგილობრივ სქემებს; ყოველს მაზრას ეყოლება თავისი რჩევა; რომლის წევრები ამირჩევიან თვითნებულ საზოგადოებრივ ან თანხმებული საკმევების განსაგებლად; საზოგადოებებს განაგებენ ამირჩეულნი მუნიციპალური რჩევები.

38) პირველ-დაწყებითი სწავლა ყველასთვის ეალდებულია.

39) ძანონების განმარტება ეკუთვნის საკასაციო სამსახურს, სახელმწიფო რჩევას თუ სენატს.

40) კონსტიტუციაში ცვლილების მოხდენა შეიძლება მხოლოდ სამინისტროს ანუ ერთი რომელიმე პალატის თანხმობით: ხოლო ამ ცვლილების საბოლოოდ მიღება უნდა მოხდეს ორთავე პალატის ორი მესამედი ხმის უმრავლესობის გარდაწყვეტლებით და სულთანის დამტკიცებით.

სულთანის მანიფესტში, რომელიც კონსტიტუციის წინასიტყვაობას შეადგენს, არის ნათქვამი: „მა შესანიშნავი მოვლენა (კონსტიტუციის გამოცხადება) მიანიჭებს აღორძინებას და ბედნიერს შედეგს მ. ძალის სახელმწიფოების ყველა ქვეშევრდომებთან.“

ისტორია

თაოფილატა რუსანოვი *)

პირველი ექვარხისი საქართველოსი

1765—1820 წ.

IV

თუმცა თაოფილატე რუსანოვის არქივი იყო, მაგრამ ნადავ რუსანოვი არ ცხოვრობდა; პირველ წლებში მხოლოდ ზაფხულობით მოდიოდა იქ და დანარჩენი დრო სულ პეტერბურგში იყო, როგორც წევრი შუქმინდვისის სინოდისა. პეტერბურგში ყოფნა თაოფილატესთვის სხვაფრივად სასარგებლო იყო განსაკუთრებით მისი ინტერესების აღსასრულებლად: პეტერბურგში მალე იცნეს იქიდან გამოსულ არქივებს და დაფიქსურებული არქივისათვის ძრიელ საძიებლო არის მიტროპოლიტად გახდომა.

პეტერბურგ მიტროპოლიტმა ამეროვს ამ დროს ნახა ერთი გონი

*) იხილეთ „დროება“, № 139.

ერი ხოლგზა ბერი, რომელთანაც დაიკავა კუშირი და რომელთანაც თაოფილატემ გამართა ერთი უშედეგო შეტაკება; მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ამ ახალგაზდა ბერმა კიდევაც დასცა ის და აჯობა. ის ახალგაზდა ბერი იყო შილარეტი ღრუზდოვი, ბოლოს გამოჩენილი მოსკოვის მიტროპოლიტი, რომელიც 1868 წელში გარდაიცვალა.

მა ორი ბერი—ორავე გონიერები და ძრიელ სწავლულები—გადავიდნენ ერთმანეთს. როდესაც თაოფილატეს სახელი განთქმული იყო და ყველა იცნობდა მას, როგორც ღირსგანათლებულს და ყველაზედ სასარგებლო კაცს, შილარეტი მაშინ კიდევ სასწავლებელში იყო. იმ დროს თაოფილატე და სპერანსკი აღგზნდნენ სასულიერო საწავლებლის წესდებებს პეტერბურგში და თითქმის ისე უცინოდა თაოფილატეს ბედი, რომ ბერი აღარ აკლდა პეტერბურგის მიტროპოლიტად გამხდარიყო. ამ დროს მოინდომა პეტერბურგის აკადემიის რექტორმა გადმოყვანა ტაოფილის სემინარიიდან ერთდროის შილარეტიც აკადემიაში ბაკალავრობის ადგილზე, მაგრამ სამჯერე უარი ეთქვა. ბოლოს გადმოიყვანეს. იქიდან გადმოყვანა მოსკოვის მიტროპოლიტ პოტოცკის ძლიერ ეყენა, მაგრამ ევრაფერი გაარიგარა. ამ დროიდან დაიწყო ცხოვრება პეტერბურგში შილარეტმა.

შილარეტის მოსვლის დროს პეტერბურგში, თაოფილატეს ყვანდა თავისი ძვილი ნამახანაგევი სპერანსკი ძლიერ კარგათ გაცნობილი. ძარგი კავშირი ჰქონდა გაწყობილი სინოდის ობერ პროკურორთანაც. თითონ იმპერატორი იცნობდა მას როგორც ძლიერ განათლებულს და კარგ მქადაგებელ არხივისკოპოსს.

მართის სიტყვით, ისე გაბრწყინებული სცხოვრებდა პეტერბურგში, რომ მდებარე იეროდიაკონმა შილარეტმა მართა კადევაც ვერ გაბედა გამოცხადება თაოფილატესთან; ის წაიყვანა აკადემიის რექტორმა და გაცნო თაოფილატეს. შილარეტი მივიდა, დიდის მოწიწებით ემთხვია ხელზე და დადგა და შორებით. თაოფილატემ არ მიიღო იგი ისე კარგად, როგორც ჩვეულ იყო ხოლმე; როგორცაც ცუდის თვლით დაუწყო ყურება მაშინვე, თითქმის შეეცუას მას წინათვე მისი გადამტრევა. იმან მოინდომა შილარეტის ცოდნის გამოცდა და მისცა ამისთანა კითხვა:

— რა არის კუშირიტება? შილარეტი გაჩერდა. ამ დროს ს. ცილით უთხრა რექტორმა თაოფილატეს:

— მაგისთანა კითხვაზე ძიოსტესაც არ მოუვია პასუხი!...

დაიწყეს ლაპარაკი და ამით გადარჩა შილარეტი. ბოლოს თაოფილატემ უთხრა შილარეტს: „შენ ლათინური და ბერძნული ენების ცოდნით შორს ვერ წახვალ; უნდა ისწავლო ფრანგული ენა და ნემეცური და მაშინ გაიგებ ყველა აზრს.“

ამ დროიდან როგორცაც თაოფილატეს ბედი დატოვდა უკან. მართი ენაზე შესწავლი ჰქონდა მოწიწებული აკადემიაში მასწავლებლად სპერანსკის. ამას გადაეკიდა თაოფილატე და კიდევაც გააგლო აკადემიაში, მაგრამ ამით დაკარგა მეგობრობა სპერანსკის და სინოდის ობერ პროკურორის ბალიცინის, რომელიც დაუმეგობრდა შილარეტს. მაგრამ შილარეტს თვითონაც შეეძლო თავისი გზის გაკეთება. იმას ჰქონდა ძლიერი კარგი ქადაგების ნიჭი, მაგრამ პირველ ხანებში მას პეტერბურგში ქადაგება არ უთქვამს. პირველი ქადაგებდა იგი 1811 წ. გააკვირვა საზოგადოება. მართი ქადაგება სთქვა შაზანის სობორში და მეორე მისი ამშვენებლის სტროგანოვის დამარხვის დროს, როდესაც დაესწრნ ხელმწიფის სახლობა და მრთელი პეტერბურგის დიდკაცობა.

როგორც შენიშნა თაოფილატემ ამისთანა სახელის გათქმა შილარეტისა, დაუწყო მის ქადაგებებს სხვადასხვა კრტიკები და ერთ ქადაგებაში შილარეტს ამხილებდა როგორც მისთანა კაცს, რომელიც ვითომც უღმერთობას ქადაგებდა. მაგრამ ყველა მისი ღონისძიება და მოქმედება შილარეტის წინააღმდეგ მასვე ეცხრობოდა თავზე და შილარეტი თითქმის ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა.

განცხადება

იხმედება

და ამ ცოტახანში გამოვა

ლექსები

უზ. იაგორ კასუპოვისა სხვა და სხვა ცხოვრების საზნის შემსახები.

(3-1)

ხელის-მოწერა 1877 წელს გაზეთის

„კავკასი“

მიიღება რედაქციაში, სოლოლაკში, ხატისოვას სახლებში; გარეშე მცხოვრებთათვის შემდეგი ადრესით: *Въ Тифлисе, въ редакцію изв. „Кавказъ“.*

გაზეთის ფასი ქალაქის ხელის— მომწერლებისათვის 11 მან. და 50 კაპ., ნახევარ წლით—6 მან., ქალაქის გარეშე მცხოვრებთათვის—13 მან., 6 თვით 7 მან.

(3-3)

ამ ლექსებში დამტკიცდა იმ საზოგადოების წესდება, რომელიც ქალაქში შესდგა და რომელიც იკისრა მზრუნველობა ღარიბ მოსწავლე ქალებზე თფილისის საქალაქო სასწავლებლებში. ამისთვის 27 ამ თვეს, 12 საათზე, დღით ქალაქის საქალაქო ბიძანაზის ზალაში მოხდება საზოგადოების წევრების ყრილობა კომიტეტის შესადგენათ. (2-2)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბოზს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ძანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ძაი — გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ეინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—92

წალკოტი

თქული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მალაზებში.

რ. ზგა.	დილა.	სალაშ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გეგმები	ფოტო	ბირჟა	მან.	კაპ.	გაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი.	936	454			ა) შოთილამ მიდის:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 12 დეკემბ.			თფილისი, 23 დეკემბ.		
მცხეთა.			68	38	მდისსკენ — ხუთშაბათს დილით.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	მართი მანეთი ღირს:			პური შორაგალის ფთ.	150	
ბორი.	1221	841	240	123	სტამბოლს — კვირაობით, დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ.	ლონდონში 3 1/2 პენსი.	84		ქერი ფუთი.	95	
ხაშური.	2	1110	92	218	ბ) მდისსკიდან:	ოთხშ. მზურგეთს — პარასკ და	პარიჟში 30 3/4 სანტიმი.	89		ბაბა მრეწვისა, ფუთი.	520	
ბეჟათუბანი			442	246	შოთისკენ — ხუთშაბ., ნახად. პსაათ.	შაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და	მსკონტი (სარგებლისფასი)	7 1/2		— ამერიკისა, ფუთი.	560	
შვირილა.			581	323	სტამბოლს — ოთხშ. შაბათს, შუადღეზე	შაბ. ბაქოს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	93	25	ბაჰრტილი ბაბა ფთ.	8	
მუთაისი.	823		675	375	შოთიდან:	შოთიდან:	მოგებიანი (პირველისხები)	179		მატალი თუშური ფთ.	6	
სამტრედია.			773	429	სახუშამდი.	სახუშამდი.	მოგებიანი (მეორე სხები)	173	50	— მარკამისა ფთ.	460	
აბ-სენაკი.			857	476	ქერამდი.	ქერამდი.	ბარაოს ფურცლები:			პბრუშში ნუბური სტ.	320	
შოთი.	1144		975	542	ტაგანროგ.	ტაგანროგ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.			ქონი, ფუთი.	450	
					მდისსკიდან.	მდისსკიდან.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	79	75	ქონის სანთელი ფუთი.	540	
							მოსკოვის (5%)	81	50	სტეარინის სანთელი, ფ.	1250	
შოთი.	840				ტელეგრაფი	ტელეგრაფი	ბ) შოთი დამ.			ხორცი ძროხისა, ლიტ.	65	
აბ-სენაკი.			118	66	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.			— ცხვრისა, ლიტრა.	63	
სამტრედია.			261	14	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.			სპირტი, ედრო.	660	
მუთაისი.	1151		341	69	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.			შაქარი, ბოლ. ფუთი.	9	
შვირილა.			398	21	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.			— უხვნილი ფუთი.	640	
ბეჟათუბანი			533	96	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.			შავი გრგვლი, ფუთი.	20	
ხაშური.	541	165	843	24	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.			ხეთი ქუჩუთასა ფთ.	520	
ბორი.	723	367	364	9	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.			მტკო 1/2 იმპერიალი.	71	
მცხეთა.			985	4	მოსკოვიდან	მოსკოვიდან	შოთი დამ.					